# ოლიმპიადის „ზურგჩანთა“ მეორე ტურში მონაწილეობის ინსტრუქცია

1. ინტერნეტ ბროუზერის საშუალებით შედით ოლიმპიადის ვებგვერდზე:

https://chemistry.ge/school/olympiada/index.php




2. ჩამოსაშლელი მთავარი მენიუს საშუალებით გადადით მეორე ტურის გვერდზე:



3. სისტემა ავტომატურად გადაგიყვანთ ავტორიზაციის გვერდზე. ჩაწერეთ თქვენი ელფოსტა და პაროლი, რომლითაც სარგებლობდით პირველ ტურზე.




4. ავტორიზაციის წარმატებით გავლის შემთხვევაში ჩაიტვირთება შემდეგი გვერდი:



5. ამავე გვერდზე  მოძებნეთ  საგამოცდო ოთახი და გადადით zoom საგამოცდო ოთახში მოცემული zoom-ის ღილაკზე დაწკაპუნებით. ზუმის ოთახი გაიხსნება ახალ ფანჯარაში და დაელოდეთ ორგანიზატორთან დაკავშირებას.  გაითვალისწინეთ, რომ კამერა ჩართული უნდა გქონდეთ.




6. ზუმში ორგანიზატორებთან დაკავშირების შემდეგ დაბრუნდით ისევ ოლიმპიადის გვერდზე და გააქტიურეთ ღილაკი **„გაგრძელება - ამოცანის ჩატვირთვა“.**



7.  ეკრანზე ჩაიტვირთება საგამოცდო ამოცანები.

ამოცანების ამოხსნას ასრულებთ ფურცლებზე ნებისმიერი თანმიმდევრობით.

ტურის მთელი დროის განმავლობაში უნდა დარჩეთ ჩართული კამერით. მიკროფონის ჩართვა არ არის სავალდებულო.

გაითვალისწინეთ, რომ ნებისმიერი მიზეზით კამერის გათიშვამ 2 წუთზე მეტი დროის განმავლობაში შეიძლება გამოიწვიოს თქვენი დისკვალიფიკაცია.

საჭიროების შემთხვევაში ჩართეთ მიკროფონი და მიმართეთ ორგანიზატორს.




8. მუშაობის დასრულების შემდეგ დააწკაპუნეთ ღილაკზე **„გაგრძელება- ნაშრომის ატვირთვა“,** როგორც ზედა სურათზეა ნაჩვენები.

9. ყველა ფურცელზე ზედა მარჯვენა კუთხეში  გარკვევით დააწერეთ თქვენი **სახელი, გვარი** და **კლასი.**
*გაითვალისწინეთ.* უნდა გამოიგზავნოს მხოლოდ ამოცანების ამოხსნის ფურცლები. სავარჯიშო (ე.წ. "შავი" ფურცლების) გამოგზავნა არ არის საჭირო.

10. დაასკანერეთ ან  გადაუღეთ ფოტო თითოეულ თქვენ ნაშრომ ფურცელს.

11. ტელეფონით სურათის გადაღების შემთხვევაში გადაიტანეთ ფაილები კომპიუტერში. მიაქციეთ ყურადღება, რომ კომპიუტერში ფაილის გადატანისას სურათის ხარისხი შენარჩუნდეს. ამიტომ ჩვენი რჩევაა, გადატანისათვის გამოიყენოთ მეილზე გაგზავნის ან კაბელით გადატანის მეთოდი. Facebook მესენჯერით გაგზავნის შემთხვევაში სურათის ხარისხი შეიძლება იმდენად შემცირდეს, რომ წაკითხვადი არ იყოს. ასეთი სახის ნაშრომები არ/ვერ გასწორდება.

12. კომპიუტერში გადატანის შემდეგ ფაილებს დაარქვით სახელი თქვენი **სახელისა** და **გვარის** მიხედვით **ლათინური** ანბანით. მაგალითად, lasha_khutsishvili.pdf. რამდენიმე ფურცლის შემთხვევაში გამოიყენეთ ნუმერაცია. მაგალითად lasha_khutsishvili-1.jpg, lasha_khutsishvili-2.jpg და ა.შ.

**რჩევა.** რამდენიმე ფაილის (ფურცლის) შემთხვევაში სასურველია მათი ერთ pdf ფაილად კონვერტაცია. ამისათვის იხილეთ თანდართული ინსტრუქცია.

13. ქვემოთ მოცემული "Choose File" ღილაკის საშუალებით მოძებნეთ კომპიუტერში თქვენი ასატვირთი ფაილი.




14. დააწკაპუნეთ ღილაკზე **"ატვირთვა".** წარმატებით ატვირთვის შემთხვევაში მიიღებთ შესაბამის შეტყობინებას ატვირთვის ფანჯარაში.

15. თუ რამდენიმე ფაილი გაქვთ ასატვირთი, გაიმეორეთ 13-14 პუნქტები.